

RMG - კომპანიის პროფილი

2015 წლიდან „მწვანე ალტერნატივა“ გამოსცემს პერიოდულ ანგარიშს „გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საქართველოში“. გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განხილვისას ვაფასებთ ე.წ. მსხვილი დამბინძურებლების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას და ვამზადებთ საქმიანობის მასშტაბითა და გარემოსა და ადამიანების ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით ოთხი გამორჩეული სანარმოს პროფილს. ესენია: (1) არემზი (2) ჯორჯიან მანგანუმი (3) საქნახშირი; და (4) ჰაიდელბერგცემენტი. ეს დოკუმენტი RMG - Rich Metal Group-ის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მდგომარეობას აღწერს.

არემზი გოლდი და არემზი კოპერი

ბოლნისის რაიონში ოქრო-სპილენძ-ბარიტ-პოლიმეტალების საბადოს შესწავლა გასული საუკუნის 40-იან წლებში დაიწყო. ფერადი ლითონების ერთ-ერთი უდიდესი სანარმოს – მადნეულის კომბინატის მშენებლობას 1959 წელს ჩაეყარა საფუძველი. 1975 წელს ექსპლუატაციაში შესული კომბინატი ახორციელებდა სპილენძის, ბარიტის, ოქრო-ვერცხლის შემცველი კვარციტების და პოლიმეტალური მადნების მოპოვებას, მოპოვებული სპილენძის და ბარიტის მადნების პირველად გადამუშავებას, გამდიდრებას და მიღებული პროდუქტის რეალიზაციას. ბარიტის მოპოვება 1990 წელს შეწყდა. 1994 წელს შეიქმნა „კვარციტი“, რომელმაც დაიწყო ცალკე დასაწყობებული ოქროსშემცველი კვარციტის მადნებიდან ოქროსა და ვერცხლის დორეს მიღება გროვული გამოტუტვის მეთოდით. 2005 წელს „მადნეულისა“ და „კვარციტის“ პრივატიზების შედეგად სანარმოების მფლობელი გახდა ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე (ოფშორულ ზონაში) რეგისტრირებული კომპანია „სთენტონ იქვითიზ ქორფორეიშენს“ რუსული „პრომიშლენი ინვესტორის“ შვილობილი კომპანია. 2007 წლის დეკემბერში „პრომიშლენი ინვეტორმა“ „მადნეულსა“ და „კვარციტში“ წილები კომპანია GeoProMining-ს მიყიდა, რომლის მფლობელი „პრომიშლენი ინვეტორის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე და თანამფლობელი, სიმან პოვარენკინი იყო. 2012 წლიდან კი სანარმოების მფლობელი კვლავ რუსული კომპანია „კაპიტალ ჯგუფი“ გახდა. 2012 წელს მფლობელის გამოცვლასთან დაკავშირებით სს „მადნეულს“ დაერქვა - არემზი კოპერი (RMG Copper), ხოლო შპს „კვარციტს“ - არემზი გოლდი (RMG Gold).

საქართველოს მენარმეთა და არასამენარმეთო იურიდიულ პირთა საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, შპს RMG Gold-ის მესაკუთრეა: კერძო შებენიერი პასუხისმგებლობის კომპანია Rich Metals Group B.V., რეგისტრირებული ნიდერლანდებში (წილის 96.21%) და სს RMG Copper (წილის 3.79%); ხოლო სს RMG Copper-ის მფლობელების შესახებ ინფორმაცია მენარმეთა და არასამენარმეთო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან აქციის მფლობელების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას საქართველოს კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს. ორივე სანარმოს - შპს RMG Gold-სა და სს RMG Copper-ის, აღმასრულებელი დირექტორი ჯონდო შუბითიძეა.

დროთა განმავლობაში არემზი გოლდსა და არემზი კოპერს სხვადასხვა კომპანიები შეერწყა.

სს RMG Copper-ის რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
შპს "საქართველოს სამთამადნო კომპანია" (225385525)	შერწყმა	სს RMG Copper	27/06/2007
შპს ეკოგრამი (205262543)	შერწყმა	სს RMG Copper	03/10/2014
შპს გეოკონსალტინგგრუპ (205282950)	შერწყმა	სს RMG Copper	06/11/2014
შპს პრემიერ მოტორსი (404981668)	შერწყმა	სს RMG Copper	07/11/2014
შპს Mining Investments Copper (404977753)	შერწყმა	სს RMG Copper	17/11/2014
შპს ეკოლოგი (225359607)	შერწყმა	სს RMG Copper	06/09/2016

შპს RMG Gold-ის რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
სს ჯორჯიან მაინინგ კომპანი (204458960)	შერწყმა	შპს RMG Gold	14/07/2008
შპს ტრანს ჯორჯიან რესურსი (204864272)	შერწყმა	შპს RMG Gold	20/01/2009
შპს Mining Investments Gold (404977682)	შერწყმა	შპს RMG Gold	17/11/2014

უნდა აღნიშნოს, რომ კომპანიებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ (ს/კ 404908775), რომლიც 2011 წლიდან (ფაქტიურად, რეგისტრაციის მომენტიდან) არის მანამდე სს „მადნეულისათვის“ ჩამორთმეული შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის¹ მფლობელი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში რეგისტრირებული „კავკასიის სამთო ჯგუფის“ მფლობელი კვიპროსზე რეგისტრირებული კომპანია Pamtilon Holdings Limited-ია, ხოლო შპს RMG Gold და სს RMG Copper-ის მფლობელი ჰოლანდიაში რეგისტრირებული Rich Metals Group B.V. - კომპანიების სარეგისტრაციო დოკუმენტებში ერთიდაიგივე ადამიანები ფიგურირებენ (რუსი მილიარდერები [დმიტრი ტროიციკი](#) და [დმიტრი კორჟევი](#) და ლიტვის მოქალაქე ალვიდას ბრუსოკასი) და ნებისმიერი ცვლილება კომპანიებში (და ამ კომპანიების საკუთრებაში არსებულ სხვა კომპანიებში) სინქრონულად და იგივე ადამიანების მეშვეობით ხორციელდება. ასევე, კავკასიის სამთო ჯგუფის გენერალური დირექტორი ჯონდო შუბითიძეა.

¹ ლიცენზია გაცემულია ბოლნისის, მარნეულის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი მეტალებისა და ბარიტის შესწავლა-მოპოვებისათვის. ლიცენზია გაცემულია 187 823, 59 კა ფართობზე რაც ქვეყნის საერთო ფართობის 2,7%-ია.

შპს „კავკასიის სამთო ჯგუფი“ ფლობს შპს „არ ემ ჯი აურამინის“ (404908775) 100% წილს და შპს „ჯორჯიან გოლდ კომპანის“ (405205987) 100% წილს, რომელთა გენერალური დირექტორი აგრეთვე ჯონდო შუბითიძეა. ასევე, „კავკასიის სამთო ჯგუფი“ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულ [GMC Investment limited](#)-თან ერთად ფლობს (50% წილს) საქართველოში რეგისტრირებულ სს „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდს“ (სკ 405117494).

სს „ჯორჯიან კოპერ ენდ გოლდის“ გენერალური დირექტორი 2016 წლის 18 ნოემბრამდე, ამჟამად საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, კახაბერ კუჭავა იყო. 2016 წლის 15 ნოემბრამდე კახაბერ კუჭავა, ასევე, იყო შპს „ამბრელა ენტერპრაზის“ 33% წილის მფლობელი (წილი 100 ლარად იყიდა ირაკლი კუჭავამ); ხოლო 2011 წლიდან 2016 წლის 11 ოქტომბრამდე იყო შპს „ამბრელა ენტერპრაზის“ მიერ დაფუძნებული სს „კარლტონ ჯორჯიას“ (შემდგომში სს ZOPKHITO GOLD, ამჟამად სს „კავკასიის მინერალები“) დირექტორი, რომელმაც 2011 წელს ონის რაიონში ფერადი, კეთილშობილი, იშვიათი ლითონების და ბარიტის მოპოვება-შესწავლის 30 წლიანი ლიცენზია 990 000 ლარად მოიპოვა.

„კავკასიის სამთო ჯგუფის“ მფლობელი Pamtilon Holdings Limited ფლობს, ასევე, შპს მაინინგ ინვესტმენტს² (ს/კ 404415824), რომელსაც 2015 წელს შეერწყა იმავე კომპანიის საკუთრებაში არსებული შპს მაინინგ დეველოპმენტს - ჯორჯია³ (ს/კ404944414).

„მადნეული“ და „კვარციტი“ ერთ-ერთი პირველი საწარმოები იყო, სადაც 2003 წლის “ვარდების რევოლუციის” შემდეგ მთავრობამ კორუფციის აღმოფხვრასა და მმართველობის გაუჯობესებაზე დაიწყო ზრუნვა. დღეისათვის ამ საწარმოებში კორუფციის არსებობაზე აღარავინ საუბრობს, თუმცა, კომპანიების მიმართ სახელმწიფო უწყებების განსაკუთრებული „კეთილგანწყობა“ და ლოიალური დამოკიდებულება ელიტური კორუფციის არსებობის ეჭვს აჩენს. მაგალითისათვის, საყდრისი-ყაჩაღიანის მსოფლიოში უძველესი ოქროს მალაროსთვის ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსის მოხსნისა და კომპანიისათვის ძეგლის აფეთქების ნებართვის მიცემის ფაქტიც⁴ კმარა.

„ჩვენს შესახებ“

შპს RMG Gold-სა და სს RMG Copper-ს აქვთ საერთო ვებ-გვერდი - www.richmetalsgroup.com

ვებ-გვერდი კომპანიის შესახებ საზოგადოებას მხოლოდ ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას აცნობს:

“ჩვენ ვართ საქართველოსა და ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უმსხვილესი საწარმო, რომელიც ბოლნისის რაიონში სამთო-მოპოვებითი საქმიანობით არის დაკავებული. კომპანიები „არემჯი გოლდი“ და „არემჯი

² რეგისტრირებულია 13/02/2012. სამეთვალყურეო საბჭო: დიმიტრი ტროიციკი, რუსეთის ფედერაცია, კახაბერ მჭედლოშვილი, ალექსანდრ ჩერნიხი, რუსეთის ფედერაცია. გენერალური დირექტორი- იური პილიპენკო, რუსეთის ფედერაცია.

³ 2012 წელს რეგისტრაციისას კომპანიის მფლობელი იყო კვიპროსზე რეგისტრირებული სპეცმაქს კო, ხოლო დირექტორი - სოლომონ ცაბაძე. ეს კომპანია თავის მხრივ ფლობდა შპს მინერალ რესურსიზ მენეჯმენტს (ს/კ 404944600), რეგისტრირებულია 15/05/2012, დირექტორი: ზურაბ ქუთელია. 2013 წელს კომპანია შეერწყა მფლობელს.

⁴ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მწვანე ალტერნატივას 2013 წლის ანგარიში „მადნეული კანონზე მაღლა“ და 2015 წლის კვლევა „ბუნებრივი რესურსების მართვა და ელიტური კორუფციის ხელშემწყობი ფაქტორები“ www.greenalt.org-ზე და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 2015 წლის კვლევა „საყდრისი-ყაჩაღიანი - ნგრევა კანონის სახელით“ www.gyla.ge-ზე

კოპერი“ სპილენძისა და ოქროს შემცველი მადნების მოპოვება-გადამუშავების შედეგად აწარმოებენ სპილენძის კონცენტრატს და ოქროს დორე შენადნობს (ნახევარფაბრიკატის სახით). „არემქის“ მიერ წარმოებულ პროდუქციას ყიდულობენ მსხვილი საერთაშორისო ტრეიდერული კომპანიები. აფინაჟის (განმენდა) შედეგად მიღებული სუფთა ლითონები (ოქრო, სპილენძი, ვერცხლი) კი შემდგომში ლონდონის საფონდო ბირჟაზე იყიდება. „არემქი გოლდი“ და „არემქი კოპერი“ საქართველოში და ბოლნისის რაიონში უმსხვილესი დამსაქმებლები არიან. ორივე კომპანიაში 3000-მდე ადამიანი მუშაობს, რომელთა 90% ადგილობრივი მოსახლეა. 2011-2014 წლებში „არემქიმ“ საქართველოში 300 მილიონ დოლარამდე ინვესტიცია განახორციელა“.

ინფორმაცია კომპანიის სტრუქტურის, დაკავშირებული კომპანიების, მფლობელების, მმართველი გუნდის, ან თუნდაც გენერალური დირექტორის ვინაობის (არათუ გამოცდილების ან კომპეტენციის) შესახებ არ არის წარმოდგენილი.

არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის საკუთრებაში არსებული წიაღით სარგებლობის ლიცენზიების შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ წიაღის მარაგების შესახებ ინფორმაციაზე. ასევე, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია მოპოვებული რესურსის გამამდიდრებელი საწარმოს შესახებ.

საწარმოების გარემოზე ზემოქმედება

მადნეულისა და კვარციტის ფუნქციონირება გაცილებით ადრე დაიწყო, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ. ამიტომ საწარმოების მფლობელმა ნებართვა მხოლოდ 2008 წელს მოიპოვა. გარემოზე ზემოქმედების ნებართვების მოპოვებისას, საწარმოების ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება უნდა გამხდარიყო დეტალური შესწავლის საგანი, თუმცა, პროცესი უკიდურესად ფორმალურად და კომპანიებისათვის უმტკივნეულოდ წარიმართა; ნებართვის მოსაპოვებლად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ნაცვლად, წარდგენილი იყო ათი წლის წინ მომზადებული დოკუმენტი, რომელშიც მხოლოდ თარიღები იყო შეცვლილი. სამწუხაროდ, ნებართვის გაცემისას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მაშინდელმა მინისტრმა, გოგა ხაჩიძემ არ ჩათვალა მნიშვნელოვან კანონდარღვევად ეს ფაქტი და ხელი მოაწერა ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანებას. ამდენად, საწარმოების საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების კომპლექსური კვლევა არ არსებობს. თუმცა, არსებობს ფრაგმენტული მონაცემები და კვლევები საწარმოების მიერ სხვადასხვა დროს გარემოსთვის მიყენებული ზიანის შესახებ.

არსებულ კვლევებს შორის აღსანიშნავია ქართველ და გერმანელ მკვლევართა ჯგუფის (გისენის უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი პროექტი) ნაშრომი. მათი კვლევის მიზანს წარმოადგენდა ბოლნისის რაიონის ეკოსისტემაზე და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის გავლენის შეფასება. მეცნიერთა დასკვნა საგანგაშო აღმოჩნდა: კვლევა, რომელიც 2001-2011 წლებს მოიცავდა, აჩვენა, რომ ტერიტორიის ნახევარზე მეტი სერიოზულად არის დაბინძურებული მძიმე მეტალებით, კერძოდ, სპილენძით, კადმიუმით და თუთიით. ზოგიერთ უბანზე ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობა აღმოჩნდა⁵. კვლევის დასკვნების თანახმად: “მდ. მაშავერას ხეობის მორწყული ნიადაგების დიდი ფართობი ძლიერადაა გადატვირთული მძიმე ლითონებით; დაბინძურების პრობლემა არსებობს, მაგრამ არ არსებობს აქედან გამოსავალი - პოლიტიკური და ეკონომიკური გზები; გამოკვლეული მაჩვენებლები ევროპის ნიადაგების დაცვის წესდებით გათვალისწინებული ნორმის ზღვარს ბევრად აღემატებიან; სპილენძი და კადმიუმი საკვები მცენარეებისგან

⁵ „ნიადაგების მძიმე მეტალებით გაჭუჭყიანება და მათი ფუნქციების აღდგენის შესაძლებლობები - მდ. მაშავერას ხეობის მაგალითზე, საქართველო“; ავტორები: პეტერ ფელიქს-ჰენინგსენი, თომას ჰანაუერი, ბესიკ კალანდაძე, თენგიზ ურუშაძე, ლევან ნავროზაშვილი

ადვილად შეინოვებიან. ამის შედეგად ხდება პირდაპირი კონტამინაცია; ნიადაგის დანამატების საშუალებით შესაძლებელია მძიმე მეტალების დაფიქსირება და მცენარეების მიერ მათი მიღების შემცირება; მაგრამ მაინც, მდ. მაშავრას ხეობაში მძიმე მეტალებით დაბინძურებული ნიადაგები ადამიანებისთვის, ცხოველებსა და საკვებისთვის ხანგრძლივ პრობლემას წამოადგენენ; აუცილებელია მოსახლეობის დაცვისთვის საჭირო ღონისძიებების გატარება, რაც მზარდი დატვირთვის წინააღმდეგ იქნება მიმართული“. მიგნებების თვალსაჩინოებისათვის სამუშაო ჯგუფმა ფილმიც გადაიღო⁶, სადაც კვლევის შედეგები და ანგარიშის დოკუმენტის გადანყვეტილების მიმღებთათვის წარდგენის ფაქტია აღბეჭდილი⁷.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2013-2014 წლების ანგარიშის თანახმად, შპს RMG Gold-ის მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გარეშე მადნის გროვული გამოტუტვის საწარმოო უბნის მშენებლობისას მიწის დაბინძურებისა და დეგრადირების შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 29 153 880 ლარი; ხოლო სს RMG Copper-ის გამამდიდრებელი საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ 5000 კუბ.მ მოცულობის ე.წ. შემასქელებელი რეზერვუარიდან 500 კუბ.მ მოცულობის მჟავე კარიერული წყლის მდ. კაბრეთულაში ჩაღვრის შედეგად გარემოსათვის მიყენებულმა ზიანმა 1 078 188 ლარი შეადგინა⁸. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2013-2014 წლების ანგარიში არის უახლესი საჯაროდ, მოთხოვნის გარეშე ხელმისაწვდომი დოკუმენტი, რომელშიც საუბარია კომპანიების გარემოზე ზემოქმედების შესახებ.

ასევე, საჯაროდ, მხოლოდ მოთხოვნის საფუძველზე ხელმისაწვდომი დოკუმენტია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შპს „RMG Gold“-ზე (ს/კ 225359947) გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000056 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების (15 დეკემბერი 2015 წელი - 15 მარტი 2016 წელი) ანგარიში.

ანგარიშში აღწერილია ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვანი დარღვევები. მაგალითად: კომპანიას არ აღმოაჩნდა მონიტორინგის (თვითმონიტორინგის) გეგმა და არც გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაკისრებულ სამონიტორინგო ვალდებულებებს ასრულებდა; კომპანიას არ აღმოაჩნდა ნარჩენების მართვის გეგმა და სათანადოდ შემუშავებული და შეთანხმებული ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა; კომპანია არ იცავდა ქიმიური ნივთიერებების შენახვა - დასაწყობების ინსტრუქციებს; არ ხდებოდა გამოტუტული მადნის გროვების დასაწყობების ტერიტორიის რეკულტივაცია; დასკვნის თანახმად, „შპს „RMG Gold“-ის ხელმძღვანელობა ვალდებულია საწარმოს ტერიტორიაზე აწარმოოს ციან-იონების კონცენტრაციის თვითმონიტორინგი, რათა უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო. მისი მონიტორინგი აუცილებელია შრომის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ციან-იონებს შეუძლია ადამიანის ორგანიზმის ქრონიკული მონამვლა. მიუხედავად იმისა, რომ იგი სწრაფად დაშლადია, აორთქლების ზედაპირი (გროვების ირიგაცია, გუბურები) იმდენად დიდია, რომ მისი სუნი მთელს ტერიტორიაზე იგრძნობა. ინსპექტირების პროცესში დაფიქსირდა, რომ სუნი გავრცელებულია საწარმოო ტერიტორიაზე და მასალების კამერალური დამუშავებით დადგინდა, რომ ციან-იონების კონცენტრაციის თვითმონიტორინგი საწარმოო ტერიტორიაზე არ მიმდინარეობს. ასევე ინსპექტირების პერიოდში, არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში (ძლიერი ქარი) გამოსატუტი მოედნის უკრედებზე ხსნარის დასხურებისას

⁶ [Dig for Gold, reap Poison?](#) January 2012

⁷ დოკუმენტი წარედგინა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და პარლამენტის გარემოს დაცვის კომიტეტს. საგულისხმოა, რომ შეხვედრაზე დამსწრე თანამშრომლები დღესაც ამ უწყებებში მუშაობენ.

⁸ [გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ანგარიში](#), 2013-2014 წ.წ.

ხდებოდა მისი გავრცელება ქარის მიმართულების შესაბამისად მიმდებარე ტერიტორიაზე“; ინსპექტირებისას გამოვლინდა „RMG Gold“-ის მიერ წიაღით სარგებლობის ფაქტი სათანადო ლიცენზიის გარეშე და არაერთი სხვა დარღვევა.

გარემოსათვის მიყენებული ზიანისა და აღწერილი დარღვევების არანაკლები სიმწვავეთ გამოირჩევა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სს „RMG Copper“-ზე (ს/კ 225358341) გაცემული გარემოზე ზემოქმედების №000055 ნებართვით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების (15 დეკემბერი 2015 წელი - 15 მარტი 2016 წელი) ანგარიში. ნებართვის პირობების თანახმად, სანარმოს ხელმძღვანელობა ვალდებულია მდინარეების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით მონაცემთა ფუჭი ქანების სანაყაროებიდან და კუდსაცავიდან წვიმის წყლებით გამოწვეული ჩამდინარე წყლების შესაგროვებელი დრენაჟები, არხები და გამწმენდი მოწყობილობა. „ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიას გამწმენდი ნაგებობა საერთოდ არ აქვს მოწყობილი, ხოლო სხვა დანარჩენი ვალდებულება ნაწილობრივ აქვს შესრულებული. კერძოდ:

- №1 და №2 სანაყაროების ჩამონადენი და გამონაჟონი წყლების შეკრების მიზნით, მდინარე კაზრეთულასთან, კერძოდ, №2 სანაყაროსთან მიწაყაროებით მოწყობილია წყალშემკრები დამბა, სადაც გროვდება ნაჟური მჟავე წყლები, თუმცა ჩატარებულმა ლაბორატორიულმა კვლევებმა ცხადყვეს, რომ მოცემული დამბა ვერ უზრუნველყოფს მჟავე კარიერული წყლების სრულყოფილ შეკრებას, **ადგილი აქვს წყლების გამოჟონვას მდინარე კაზრეთულაში** და შესაბამისად უარყოფით გავლენას ახდენს მდინარე კაზრეთულას წყლის ხარისხზე;
- კარიერამდე მისასვლელ გზაზე, კერძოდ, №1 და №2 სანაყაროების გაყოლებაზე მოწყობილია მიწაყაროების სანიაღვრე არხი. არხის ბოლოში, გზის მარცხენა მხარეს ასევე მიწაყაროებით მოწყობილია სანიაღვრე წყლების შემკრები, საიდანაც ძლიერი წვიმების დროს წარმოქმნილი **დაბინძურებული წყლები ლითონის მილის საშუალებით, თვითდენით გადადის გზის მარჯვენა მხარეს არსებულ ფერდობზე და ჩაედინება მდინარე კაზრეთულაში.**
- №3 და №4 სანაყაროებიდან ჩამონადენი და გამონაჟონი წყლების შეკრების მიზნით, სანაყაროებს მიმდებარედ მოწყობილი არ არის სანიაღვრე სისტემა და წყალშემკრები დამბა. შესაბამისად, აღნიშნული **მჟავე წყლები, ყოველგვარი განწმენდის გარეშე ჩაედინება სანაყაროებს ძირში არსებულ ხევებში, რომელიც უერთდება მდინარე ფოლადაურს.**
- კუდსაცავზე მოწყობილია დრენირებული წყლების შემკრები დამბა, რომელიც აღჭურვილია ავარიული მილით. **აღნიშნული დამბის გადავსების შემთხვევაში მოსალოდნელია ზედმეტი წყლის თვითდენით გადადინება მიმდებარედ არსებულ ხევში, რომელიც კოლექტორიდან გამოსულ წყალთან ერთად უერთდება მდინარე კაზრეთულას.**
- ლაბორატორიულმა კვლევებმა ცხადყო, რომ კუდსაცავის ძირში დამონტაჟებული მილიდან გამოსულ წყალში ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციასთან შედარებით **მნიშვნელოვნადაა მომატებული მაგნიუმი, კალციუმი, სულფატები. ასევე ბრომი და ამონიუმი“.**

2018 წლის 2 აპრილს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი კაზრეთში იმყოფებოდა, სადაც კომპანია RMG Copper-ისა და RMG Gold-ის წარმომადგენლებს ადგილზე გაეცნო⁹. მინისტრის ვიზიტის შესახებ სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ შეტყობინებაში აღნიშნული იყო: „გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სხვადასხვა უწყების თანამშრომლები გაეცნენ RMG-ის საქმიანობას. 2015-16 წლებში ჩვენი შემოწმების შედეგად რამდენიმე მიმართულებით იყო დარღვევები გამოვლენილი. მნიშვნელოვანია, რომ ის დარღვევები გამოსწორდეს და სწორედ ამ

⁹ 02 აპრილი 2018 | კომპანია RMG-ის წარმომადგენლებს ლევან დავითაშვილი გაეცნო

ლონისდიებებზე გვექონდა საუბარი. უშუალოდ ჩვენი თვალთ გვინდოდა გვენახა თუ სად არის კრიტიკული წერტილები, პრობლემები და როგორ იქნება კომპანიის მიერ გამოსწორების მექანიზმები, როგორი იქნება გონივრული ვადები და ამაზე სპეციფიკაციებთან ერთად შეჯერდებით.” - განაცხადა ლევან დავითაშვილმა. კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელის ჯონი შუბითიდის განცხადებით, RMG-ის შემუშავებული აქვს გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა, რომლის შედგენაშიც საერთაშორისო კომპანია [Golder Associates](#)-ი იყო ჩართული“.

მწვანე ალტერნატივამ სამინისტროდან გამოითხოვა ზემოხსენებული გეგმა. როგორც გაირკვა, RMG Copper-ს მომზადებული ქონდა დოკუმენტი სახელწოდებით “მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, 2018წ.”, რომელშიც აღწერილი იყო 2016 წელს სანარმოს გეგმიური შემონგების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები. არც დოკუმენტის ხარისხი და არც შინაარსი არ მიუთითებს მის მომზადებაში Golder Associates-ის მონაწილეობას.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტთან არსებული სამუშაო ჯგუფი

2018 წლის 13 ივნისს კახაბერ კუჭავას, ამჟამად უკვე როგორც საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის, [განკარგულებით](#) შეიქმნა „სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის კომპანიების: „RMG Gold“-ისა და „RMG Copper“-ის მიერ, სამთომოპოვებითი სამუშაოების წარმოების პროცესში გარემოზე მიყენებულ ზიანს“. სამუშაო ჯგუფის [დასკვნის](#) საფუძველზე, კომიტეტის თავმჯდომარემ 2018 წლის 15 ივნისს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრებს მიმართა. [მიმართვაში](#) აღნიშნულია, რომ „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს:

1. საბადოების არსებული მეთოდოლოგიით და პრაქტიკით დამუშავების გაგრძელება და ახალი სამუშაოების დაწყება სხვა საბადოებზე, გაზრდის დაბინძურების დონესა და მის არეალს ქვემო ქართლის რეგიონში. შესაბამისად, ეკონომიკის სამინისტროს სსიპ „წიაღის ეროვნულმა სააგენტო“-მ არ უნდა მისცეს კომპანიას უფლება ბნელი ხევის ტერიტორიაზე დაიწყოს ახალი საბადოს დამუშავება, ვიდრე არ დაგინახავთ კომპანიის ნებას და რეალურ ქმედებებს არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სავალდებულოა კომპანიების, „RMG Gold“ - ისა და „RMG Copper“- ის მიერ, შესრულდეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსაზღვრული სამოქმედო გეგმა.
2. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყოს კოორდინაცია დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად, ბოლნისის რეგიონში მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური კვლევების განსახორციელებლად.
3. სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კომპანიების „RMG Gold“ - ისა და „RMG Copper“- ის ტერიტორიაზე განლაგებული ძველი (ისტორიული) კუდსაცავების მდგრადობის შემსწავლელი სეისმოლოგიური კვლევები“.

მიმართვაზე პასუხად, საქართველოს გარემოსა დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ კომიტეტს [აცნობა](#), 1.„რომ ლიცენზიის შეჩერების ნაწილში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში ვერ იმსჯელებს“; 2. გარემოს ეროვნულმა სააგენტომ **მზადყოფნა გამოთქვა** განახორციელოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგი დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად; 3. ხოლო რაც შეეხება სეისმოლოგიური კვლევების

ჩატარებას, მინისტრის ინფორმაციით, ესეც „სცილდება სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას“.

სამინისტრომ კომიტეტის თამჯდომარის მიმართვას არ გამოეხმაურა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

2018 წლის 2 აგვისტოს [წერილით](#) სსიპ ლ. საყვარელის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა ასევე [გამოთქვა მზადყოფნა](#) „ჩაერთოს კომპეტენციის ფარგლებში სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსთან ერთად, რათა განხორციელდეს ბოლნისის რეგიონში მოსახლეობის ეპიდემიოლოგიური კვლევები ადამიანის ჯანმრთელობაზე გარემოს მავნე ზემოქმედების შეფასების მიზნით“. პარლამენტის კომიტეტის [ვებ-გვერდზე](#) განთავსებული ინფორმაციის თანახმად, საკითხთან დაკავშირებით ბოლო კომუნიკაცია/შეხვედრა 2018 წლის 23 აგვისტოს [შედეგა](#). „შეხვედრის შედეგად გადაწყდა:

1. მხარეებს შორის სამუშაო რეჟიმში დიალოგი მუდმივად გაგრძელდება;
2. 2018 წლის ოქტომბრის თვის დასაწყისში სამუშაო ჯგუფი, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები კიდევ ერთხელ ეწვევიან ქვემო ქართლს და გაეცნობიან გეგმით განსაზღვრული სამუშაოების შედეგებს;
3. კომპანია RMG-ს, სამუშაო ჯგუფი წერილობით გაუგზავნის ყველა იმ ტექნიკურ კითხვას, რომლის განხილვაც ვერ მოხერხდა შეხვედრის მიმდინარეობისას, კომპანიისგან წერილობით მიიღებენ კითხვებზე პასუხებს.
4. კომპანია RMG-სგან სამუშაო ჯგუფი მიიღებს სრულ ინფორმაციას კვირაცხოვლის მდინარესთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე;
5. კომპანია RMG რეკულტივაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სამუშაო ჯგუფს მიაწვდის ინფორმაციას თუ როგორ და რა ფორმით დაგეგმავს თანამშრომლობას ფიზიკის ინსტიტუტთან;
6. მტვრის ჰაერში გაფრქვევის პრევენციის გზებზე სამუშაო ჯგუფი მიაწვდის ინფორმაციას კომპანიას, თავის მხრივ კომპანიაც მოიკვლევს სხვა ქვეყანაში არსებულ საუკეთესო გამოცდილებას და პრევენციის გზებზე გაიმართება მსჯელობა;
7. კარიერში დაგროვებულ წყლებთან დაკავშირებით, კომპანიის მიერ შემუშავებული პროექტი წარედგინება სამუშაო ჯგუფს;
8. სამუშაო ჯგუფი განსახილველად მიაწვდის კომპანიას ინფორმაციას კინეტიკური აფეთქებების თაობაზე;
9. კომპანია 2018 წლის ოქტომბერში დაგეგმილი ვიზიტისას, სამუშაო ჯგუფს დაათვალიერებინებს ბარიტის კუდსაცავს;
10. კომპანია „RMG“ მოიძიებს წამყვან ლაბორატორიას და ითანამშრომლებს კომპანია „გამა“-სთან და ასევე სხვა ალტერნატიულ ლაბორატორიებთან;
11. სამუშაო ჯგუფი ეპიდემიოლოგიური კვლევის ჩატარების უზრუნველსაყოფად გაივლის კონსულტაციებს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან;
12. კომპანია „RMG“ სამუშაო ჯგუფს მიაწვდის მე- უბანთან დაკავშირებულ სრულ ინფორმაციას;
13. სამუშაო ჯგუფი კიდევ ერთხელ მკაფიოდ აფიქსირებს თავის პოზიციას, რომელიც გაეგზავნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რომ სამუშაოების განხორციელების საშუალება კომპანია „RMG“-ს არ უნდა მიეცეს მხოლოდ ახალ საბადოებზე, არსებულ საბადოზე სამუშაოები არ უნდა შეჩერდეს,

კომპანიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით აწარმოოს სამუშაოები. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მოცემულ საკითზე გაიმართება შეხვედრა”.

გარემოს დაცვა

„ჩვენ ვიღებთ პასუხისმგებლობას გარემოს დაცვაზე და გავაგრძელებთ მუშაობას, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ გარემოზე მიყენებული მავნე ზემოქმედება“ - ეს სლოგანი www.richmetalsgroup.com-ის თავფურცელზეა წარმოდგენილი.

კომპანიების ვებ-გვერდზე საკმაოდ ვრცელი მასალაა წარმოდგენილი განყოფილებაში სათაურით „გარემოს დაცვა“. კომპანიის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც საწარმოების მფლობელი არემქი ჯგუფი გახდა, „კომპანიაში ჩამოყალიბდა ჯანდაცვის, შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სამსახურის ახალი სტრუქტურა. შემუშავდა ახალი გარემოსდაცვითი პოლიტიკა. კომპანიის ქიმიური ლაბორატორია აღიჭურვა თანამედროვე ექსპრეს ანალიზატორებით ხსნარებში მძიმე მეტალების, ციანიდებისა და სულფატის იონების შემცველობის და ატმოსფერული ჰაერის სიმღვრივის განსასაზღვრად. ყოველდღიურად მიმდინარეობს შემდეგი სახის მონიტორინგი:

- წყლის ჩაშვებაზე;
- ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევებზე;
- HCN გაზის რაოდენობაზე;
- სანაყაროებზე;
- მილსადენების გამართულობაზე;
- კუდსაცავზე;
- კარიერული მჟავე წყლის აღწერა“.

ვებ-გვერდზე ნაკლებად გასაგებად და ბევრი ტექნიკური ტერმინის გამოყენებით (მაგ. „საბადოს კარიერული მჟავე წყლები წარმოადგენს მძიმე ლითონების სულფატურ წყალხსნარებს, რაც განპირობებულია საბადოს ჰიდროგეოლოგიური მახასიათებლებით და საბადოზე განვითარებული ეგზოგენური და მიკრობიოლოგიური ფაქტორებით“) აღწერილია, თუ როგორ ხდება კარიერული მჟავე წყლების შეგროვება და გაუვნებელყოფა.

ვებ-გვერდის თანახმად, „კომპანიის გარემოს დაცვის დეპარტამენტი ყოველდღიურად ახორციელებს წყლის ხარისხის შემოწმებას, რომლის ძირითადი მიზანია იმის ჩვენება, რომ წყალში არ აღინიშნება თავისუფალი ციანიდის ან ციანიდის სხვადასხვა მეტალოკომპლექსების შემცველობა“. ვებ-გვერდზე მითითებულია სინჯების აღების წერტილები მდებარეობა, თუმცა არაფერია ნათქვამი ყოველდღიური შემოწმებების, თუნდაც განზოგადებული შედეგის შესახებ.

ასევე, ვებ-გვერდზე მოცემულია არემქი გოლდისა და არემქი კოპერის „წყლის ცირკულაციის სქემის აღწერა“ და რა უნდა კეთდებოდეს მტვრის წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად.

ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ, საწარმოების საქმიანობით გარემოსთვის მიყენებული ზიანისა და მისი შემსუბუქებისთვის დაგეგმილი და/ან მიმდინარე ღონისძიებების შესახებ. საწარმოების საქმიანობის შედეგად ადგილობრივი ბუნებრივი და სოციალური გარემოსათვის ზიანის მიყენების საფრთხეების და ამ საფრთხეების თავიდან აცილებისათვის გატარებული



და/ან გასათარებელი ღონისძიებების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაცია კი იმდენად ტექნიკური ენით არის დაწერილი, რომ საეჭვოა, მოქალაქეების ინტერესის დაკმაყოფილებისთვის ყოფილიყო გამომწვევი.

სოციალური პროექტები

კომპანიის ვებ-გვერდის თანახმად, „კომპანია „არემჯი“ აცნობიერებს სოციალურ პასუხისმგებლობას, რომელიც მას დაბა კაზრეთის, ბოლნისის რაიონისა და ქვეყნის წინაშე აკისრია. სწორედ ამიტომ, ჩვენ მუდმივად ვახორციელებთ სხვადასხვა სოციალური, საგანმანათლებლო, სპორტული და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას, მხარდაჭერას და დაფინანსებას. საქართველოს რაგბის კავშირისა და ეროვნული გუნდის მხარდაჭერა „არემჯისათვის“ წლებია ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 7 წლის მანძილზე ქართული რაგბის განვითარებაში კომპანიამ 3 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. კომპანიის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს ბოლნისის რაიონს და ადგილზე სხვადასხვა სახის სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებას. „არემჯი“ სისტემატურ ფინანსურ დახმარებას უწევს ბოლნისის ეპარქიას. უძველესი ქართული ეკლესიების შენარჩუნება და განახლება კომპანიისათვის ზრუნვის განსაკუთრებული საგანს წარმოადგენს. „არემჯი“ დაბა კაზრეთში სპორტის, ცხოვრების ჯანსაღი წესისა და კულტურის პოპულარიზაციასაც აქტიურად ეწევა. აქ ყოველთვის ფინანსდება თავისუფალი სტილით ჭიდაობის, ჭაბუკთა ფეხბურთისა და ქორეოგრაფიის სექციები. „არემჯი“ ხელს უწყობს დაბა კაზრეთში და ბოლნისის რაიონში საგანმანათლებლო პროექტების განვითარებას. კომპანია აქტიურად თანამშრომლობს დაბა კაზრეთის საჯარო სკოლებთან და საბავშვო ბაღთან. მათი მოთხოვნის შესაბამისად, კომპანია პერიოდულად ახდენს სასკოლო და საბავშვო ბაღისათვის საჭირო ინვენტარის შეძენას და განახლებას. „არემჯი“ ზრუნავს ბოლნისის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოხუცებზე და სხვადასხვა სახის სოციალური აქციების ორგანიზებით ცდილობს მათ ღირსეული საცხოვრებელი და საარსებო პირობები შეუქმნას. კომპანია თანამშრომლობს საქართველოს წითელი ჯვრის სამოგადოებასთან, რომლის ეგიდითა და ბოლნისის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ქალაქ ბოლნისში ხანდაზმულთა დღის ცენტრი ფუნქციონირებს. „არემჯი“ პერიოდულად ეხმარება დღის ცენტრს და მის ბენეფიციარებს. წლების მანძილზე კომპანია აფინანსებდა და მომავალშიც დაეხმარება სხვადასხვა საქველმოქმედო ორგანიზაციებს: „აუტიზმით დაავადებულთა ასოციაცია“, „მომავლის გზა“, „მოძრაობა ხელმისაწვდომი გარემოსათვის“, „მომავლის სახლი“, „ბოლნისის რაიონის რეაბილიტაციისა და განვითარების ხელშეწყობის ცენტრი“, საქველმოქმედო ფონდი იავნანა“ და სხვა“.

კომპანიის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში გავრცელებული „სიახლეების“ აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ასეთ ღონისძიებებს ეთმობა. ადგილობრივი მოსახლეობის განათლების, სპორტისა თუ შშმ პირების დახმარებისათვის განეული ძალისხმევა შესაძლოა განვიხილოთ სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატულებად; მაგრამ კომპანიის ჩართულობა¹⁰ ბოლნისის მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის იმ გარემოში, რომლის საგანგაშო დონემდე დაბინძურების მიზეზი თავად არის - უფრო სოციალური პასუხისმგებლობის იდეის დისკრედიტაციაა.

¹⁰ „არემჯის“ მხარდაჭერით, „ბოლნური ღვინო“ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-11 საერთაშორისო გამოფენაში მიიღებს მონაწილეობას. 14 ივნისი / 2018



თბილისი, 0179,
ფალიაშვილის ქ.#39ბ, IV სართ.
ტელ.: 222 38 74
GREENALT@GREENALT.ORG
WWW.GREENALT.ORG

დოკუმენტი გამოცემულია მწვანე ალტერნატივას, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალურ ბიუროსთან თანამშრომლობით, მიმდინარე პროექტის ფარგლებში - „ადვოკატირება მინერალური რესურსების გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვისთვის“ და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „ენერჯეტიკის, წიაღით სარგებლობისა და ტრანსპორტის სექტორებში მმართველობის გაუმჯობესების ხელშეწყობისათვის საქართველოში“ ფარგლებში.

ანგარიშის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მწვანე ალტერნატივა და ის არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროსა და ღია საზოგადოების ფონდების ქსელის შეხედულებებს.

ავტორი: ნინო გუჯარაიძე

© მწვანე ალტერნატივა, 2018